ოქმი:ო37. 37223613
თარიღი:27/12/2022

ოქმი N 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2022 წელი, 23 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

12.00 -16 .00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილეები: ტ. არეშიძე და ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი, გ. ჩავლეშვილი, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერი ა. თალაკვაძე, პირველი მოადგილე- გ. ღურჯუმელიძე, მერის მოადგილე-ნ. გოლიაძე, მერის მოადგილე ნ. ბოლქვაძე.

საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 36-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცებამდე -ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ ითხოვა სიტყვა, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ იხილებოდა მნიშვნელოვანი საკითხი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და სთხოვა დაეცვა რეგლამენტი, ხოლო განცხადების გაკეთებისათვის მას აუცილებლად მისცემდა დროს სხდომის ბოლოს რასაც მოჰყვა ხმაური და ურთიერთშეურაცხმყოფელი სიტყვები. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომა. სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ, განაცხადა, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ დღესაც არ უღალატა თავის ჩვევას, კვლავ შეეცადა სხდომის ჩაშლას და ბოიკოტი გამოუცხადა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებს და მოსახლეობას. კენჭი

უყარა სხდომის დღის წესრიგს, რომელიც დაამტკიცეს 28-ხმით. ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლ. ბიგვავამ, ,,მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების მიღების თაობაზე სიტყვა მისცა საკრებულოს თავმჯდომარეს დ. დარჩიას.

დღის წესრიგი

33.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ თალაკვაძე

პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26 ხმით, წინააღმდეგი - 2

საუბრის დაწყებამდე, დ. დარჩიამ, განაცხადა, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ დღევანდელი საქციელით უპატივცემულობა გამოხატა როგორც საკუთარი, ასევე მთლიანად მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებისადმი, საკრებულოსა და საზოგადოებისადმი, რაც ბოლო ხანებში მათთვის დამახასიათებელი თვისება გახდა, შემდეგ ისაუბრა ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებზე, ხარჯებზე, პრიორიტეტებზე, გააკეთა შედარებითი ანალიზი 2022 წლის ბიუჯეტთან და აღნიშნა, ზრდა შთამბეჭდავია, რაც მიუთითებს რომ ქვეყანა და მუნიციპალიტეტი ეკონომიკურად ძლიერდება, პროექტი წარმოდგენილია კანონმდებლობის სრული დაცვით, მოუწოდა კოლეგებს მისი მხარდაჭერისათვის. განაცხადა, რომ უფრო კონკრეტულად ბიუჯეტის პროექტზე ისაუბრებენ თანამომხსენებლები. სიტყვა გადასცა მუნიციპალიტეტი მერს ა. თალაკვაძეს. იგი მიესალმა საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას, მანაც განაცხადა, რომ ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა მოსახლეობას, ამომრჩევლებს, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის წარმატებები მიღწეულია საკრებულოსა და მერიის კოლეგიალური მუშაობით, მუნიციპალიტეტი ვითარდება დაანონსებული 8-პუნქტიანი გეგმის შესაბამისად, მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, პირადად პრემიერ-მინისტრს ი. ღარიბაშვილს. ჩამოთვალა ის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც მიმდინარეობს და რომელიც დასრულდა. შემდეგ კონკრეტულად ისაუბრა ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ მუხლებსა და პროგრამებზე, სადაც შთამბეჭდავია ზრდა. მადლობა გადაუხადა მერიის სამსახურებს, საკრებულოს ერთობლივი წარმატებული საქმიანობის გამო.

შემდეგ საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ ბიუჯეტის პროექტი დაწვრილებით გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა პ. ჭყონიამ. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ კორექტირებულ ბიუჯეტში უმეტესწილად გათვალისწინებულ იქნა ის შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც შემოიტანეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედმა კომისიებმა და ფრაქციებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმაც აღნიშნა რადიკალური ოპოზიციის ქცევაზე, განაცხადა, რომ კომისია აქტიურად იყო ჩაბმული პროექტის შემუშავებაში, მის მიერ გამოთქმული

შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებულია და კომისია მხარს უჭერს ბიუჯეტს. მოუწოდა კოლეგებს მისი მხარდაჭერისადმი.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლ. ბიგვავამ შეკითხვა დასვა-რატომ დაიგეგმა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 350 ათასი ლარი, დასაშვებზე ნაკლები? მუნიციპალიტეტის მერმა ა. თალაკვაძემ განმარტა, რომ სარეზერვო ფონდი ძირითადად მიემართებოდა მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ეს საჭიროებები ამჟამად გათვალისწინებულია ბიუჯეტის შესაბამის პროგრამებში.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტზე, შენიშვნები გათვალისწინებულია და მხარს უჭერენ მის დამტკიცებას.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტზე, შენიშვნები გათვალისწინებულია და მხარს უჭერენ მის დამტკიცებას.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა კანონმდებლობის სრული დაცვით და კომისია მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლ. ბიგვავამ, განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი დღეა, მუნიციპალიტეტი ღებულობს 2023 წლის ძირითად ფინანსურ დოკუმენტს, პროცესი რთული იყო, მითუმეტეს, როცა პროგრამულ ფორმატში მუშავდებოდა, წინა წლების ბიუჯეტის პროექტებზე იყო სერიოზული შენიშვნები, ამ პროექტზე არ შეიძლება ამის თქმა, თუმცა ხარვეზები აქაც შეინიშნება, თუნდაც შესრულებული სამუშაოების შეფასების ინდიკატორებთან მიმართებაში უპრეცენდენტოა ბიუჯეტის 24 პროცენტული პუნქტით ზრდა, მასში ჩანს შესრულებული სამუშაოების ხარისხზე ზრუნვა, განაცხადა, რომ 2025 წლის ბოლოსათვის სრულიად შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 300 მილიონიან ზღვარს გადასცდეს და დაუახლოვდეს 400 მილიონიანს, ეკონომიკური წინსვლის ტემპები იძლევა ასეთი პროგნოზის გაკეთების საშუალებას. მოუწოდა კოლეგებს მხარი დაუჭირონ ბიუჯეტს.

ფრაქცია ”ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა ჯერ აღნიშნა რადიკალური ოპოზიციის მიერ მოწყობილ მასკარადზე, განაცხადა, რომ ბოიკოტი გამოუცხადეს საკუთარ მოსახლეობას, მადლობა გადაუხადა აღმასრულებელ ხელისუფლებას სრულყოფილი ფინანსური დოკუმენტის წარმოდგენისათვის, მიმართა მასმედიას და მოსახლეობას ჯეროვნად შეაფასონ ოპოზიციის დღევანდელი საქციელი, შემდეგ ისაუბრა ბიუჯეტის უპრეცენდენტო ზრდაზე, ასევე მადლობა გადაუხადა ქვეყნის მთავრობას მუნიციპალიტეტის განვითარების მხარდაჭერისათვის. ასევე იმის გამოც რომ უახლოეს პერიოდში 100%-ით იქნება მუნიციპალიტეტი გაზიფიცირებული, ხოლო წყალმომარაგება მიაღწევს 80%-ს, აღნიშნა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“- გორბის კვლევით გამოვლენილ 52%-იან რეიტინგზე, თვითმმართველობის ავტორიტეტის ზრდაზე. საბოლოოდ დააფიქსირა რომ ფრაქციის შენიშვნები გათვალისწინებულია კორექტირებულ ვარიანტში და მხარს უჭერენ მის დამტკიცებას.

ამის შემდეგ სხდომა გადავიდა კენჭისყრის პროცედურაზე, ჯერ კენჭი უყარეს მუხლობრივად:

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 4. ბიუჯეტის გადასახადები.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

უხლი 13. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 15. განათლება.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 18. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 19. პრიორიტეტების /პროგრამების/ ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 20. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 21,22,23,24,25,26 მარეგულირებელი ნორმები.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 27. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მ**უხლი 28**. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

მუხლი 29. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა.

მომხრე-26, წინააღმდეგი-2

ამის შემდეგ კენჭი ეყარა მთლიან ბიუჯეტს-მომხრე-26, წინააღმდეგი-2

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ კოლეგებს და დამსწრეთ მიულოცა ბიუჯეტის მიღება და გამოაცხადა 30-წუთიანი შესვენება.

შესვენების შემდეგ15.25 -საათზე განახლდა სხდომა, რეგისტრაცია გაიარა 24-მა საკრებულოს წევრმა.

34.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24- ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა

შეკითხვა-რა პერიოდს მოიცავს მიმდინარე წლის ბიუჯეტში შემოსული 577 ათასი ლარი? განუმარტეს, რომ ოქტომბერ-ნოემბრის თვეებს. ლ.ბიგვავამ, ასევე აღნიშნა, რომ საკითხში დასაზუსტებელია რამდენიმე პუნქტი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს ცვლილებების პროექტს.

35.3. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24- ხმით

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ მიულოცა საკრებულოს წევრებს და დამსწრეთ ბიუჯეტის მიღება, მანაც აღნიშნა რადიკალური ოპოზიციის მიერ არეულობის მოწყობის მცდელობაზე. შემდეგ გააცნო დადგენილების პროექტი.

61.4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24- ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

62.5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში წერეთლის ქუჩაზე (ს/კ 26.26.40.116) მდებარე 970 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24- ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

63.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მ. კოსტავას ქუჩა N1-ში (ს/კ 26.26.42.003.01.508) მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 33.64 კვმ. ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24- ხმით საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

64.7. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნათია გოლიაძე

ქეთევან ხომერიკი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24-ხმით

ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

65.8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24- ხმით

პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

66.9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ “ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24- ხმით პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

67.10. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

პაატა კიღურაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24- ხმით

პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

68.11. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2023-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24- ხმით

12. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ წარმომადგენელმა გ. ჩავლეშვილმა აღნიშნა, რომ რადიკალური ოპოზიცია ჩვენს მოძრაობას უწოდებს ანტიევროპულს და ანტიდასავლურს, ამით ცდილობენ მოსახლეობასა და ამომრჩევლებზე მოახდინონ ზეგავლენა, მათ მხარს

უჭერს მათივე მოკავშირე მასმედიის საშუალებები, მოძრაობა „ხალხის ძალა“-ს მიუღებლად მიაჩნია ასეთი ქმედება. კოლეგის ეს მოსაზრება გაიზიარა ამ მოძრაობის წევრმა ე. გორდელაძემაც, რომელმაც დამატებით ისაუბრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის „ მიერ პატრიარქის გადაყენების მცდელობაზე, პროფესორ გ. შარაძის მკვლელობაზე და სხვა დანაშაულობებზე, განაცხადა, რომ პატიმარ მ. სააკაშვილს არ სურს დანაშაულების აღიარება და სასჯელის მოხდა და ითხოვენ ქველმოქმედ ბ. ივანიშვილის დასანქცირებას, რომელსაც ქართველი ხალხი არ დაუშვებს.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი